

ლიტერატურული თარგმანის ტენდენციებისათვის თანამედროვე საქართველოში

თარგმანი ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. ხალხთა შორის კომუნიკაციის საჭიროება ყოველთვის არსებობდა, რაც განპირობებული იყო სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ კულტურათშორისი ინტერესებით. ქართული ლიტერატურული თარგმანის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ქართველები ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმნით ცდილობდნენ საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებასა და კითხვებზე პასუხების მოძიებას.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას (IV ს.) ბიბლიური წიგნების – ძველი და ახალი აღთქმის – ქართულ ენაზე თარგმნა მოჰყვა, რამაც ხალხის მსოფლმხედველობა-სა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია. თანამედროვე სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ IV-V საუკუნეებში ჩნდება პირველი ქართული თარგმანები – ძირითადად იმ წიგნებისა, რომლებიც ღვთისმსახურებაში გამოიყენებოდა (სახარება, სამოციქულო, ფსალმუნები). ამ პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა ეკლესია-მონასტრებში, ძირითადად ბერ-მონაზვნების წრეში ხორციელდებოდა. ისინი ანონიმურად იღვწოდნენ და ამიტომაც – პირველ მთარგმნელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

ქართული თარგმანების ფილოლოგიურ-შედარებითი ანალიზის თანახმად, უძველესი ქართული თარგმანები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც თავისუფალი (აზრობრივი) თარგმანები, ხოლო გვიანდელი ხანისა – როგორც სიტყვასიტყვითი.

თუკი ქართველები სასულიერო წიგნებს ძირითადად ბერძნულიდან და არამეულიდან თარგმნიდნენ, საერო ლიტერატურაში უფრო სპარსულიდან ნათარგმნი საგმირო-სარაინდო პოემები დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ სასულიერო ლიტერატურა ძირითადად სიტყვასიტყვით ითარგმნებოდა, საერო პოეზიის გადმოქართულები-სას ხშირად ე. წ. „თავისუფალი თარგმანის“ ხერხს იყენებდნენ.

კ. კეკელიძის აზრით, ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებებს იმიტომ, რომ „მასში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხებზე“ [კეკელიძე 1923] ქართველებს თარგმანში შეჰქონდათ ეროვნული სული და შეგნება, თუმცა დედნის არსებით, იდეურ მხარეს ინარჩუნებდნენ. ზოგჯერ იმდენად იცვლებოდა და შორდებოდა თარგმანი დედანს, რომ წაკითხვისას ორიგინალური ნაწარმოები გვეგონებოდათ. ეს განსაკუთრებით ეხებოდა სპარსული სამყაროდან ნათარგმნ ძეგლებს. ესენია „ვისრამიანი“, „ბარამგურიანი“, „ქილილა და დამანა“, რომლებშიც საქართველოსათვის მიუღებელი რწმენა, ადათ-წესები და სხვა დეტალები მთარგმნელებმა ქართულით შეცვალეს. იგივე ითქმის სპარსელი პოეტის ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანზე, რომელიც „როსტომიანის“ სახელით არის ცნობილი. რთულია მასში ნათარგმნი თხზულება ვიცნოთ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ სპარსული მოტივების დამმუშავებლად მიიჩნევენ თეიმურაზ პირველს, რომლის პოემებში „ლეილმაჯუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“ ქართული და სპარსული ელემენტების ერთობლიობა იგრძნობა. ვახტანგ მეექვსის „ამირნასარიანიც“ (იგივე „ყაბუსნამეს“ ქართული ვერსია) ამგვარ თარგმანთა რიგში ერთიანდება. მასში ვხვდებით კომპოზიციურ და ტექსტობრივ ცვლილებებს, მაგ., დედნის რელიგიური ელემენტების ნაცვლად ქართული ტრადიციების წარმოჩენას.

* * *

XVIII საუკუნემდე ჩვენში ძირითადად აღმოსავლურ ლიტერატურას თარგმნიდნენ, შესაბამისად, ძალიან დიდი იყო მათი გავლენა იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაზე, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ლიტერატურის ახალი ტენდენციის საკითხი გამოიკვეთა.

საქართველოს მრავალჯერ უცდია დაემყარებინა ურთიერთობა ევროპასთან. თავის მხრივ, ევროპაც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, როცა რომის პაპი საქართველოს ჩაბმასაც ცდილობდა ჯვაროსნულ ომებში, გარკვეულ ინტერესს იჩენდა ჩვენი ქვეყნისადმი, რომელიც იმ პერიოდში წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინს.

საქართველოს ახალი ორიენტაციის პოლიტიკური გეგმა სიმბოლურად გამომჟღავნდა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობაში (საფრანგეთსა და იტალიაში საქართველოსთვის დახმარების მიზნით).

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების ევროპეიზაციისადმი საგანგებო ინტერესს (რასაც მოწმობს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა საქმიანობა და მხატვრული მემკვიდრეობა) – რუსულ-ევროპული ლიტერატურის მრავალი ძეგლის თარგმნასთან ერთად, აშკარად ადასტურებს ევროპული განათლების დამკვიდრებისა და ფართოდ გავრცელების ტენდენციას.

საყურადღებოა, რომ აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული, პოეზიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაში თითქმის საყოველთაო მოვლენად იქცა, რაც დასავლური ლიტერატურისადმი გაღვიძებული დიდი ინტერესისა და მისი გავლენის უეჭველი შედეგი იყო. XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი საზოგადოება მშობლიურ ენაზე გაეცნო პეტრარკას, შილერის, ჰიუგოს, მიცკევიჩისა და სხვათა შემოქმედებას.

ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი იყო ვოლტერიანობა. მისი მიმდევრები იყვნენ: ა. ამილახვარი, დ. ბატონიშვილი, დ. ციციშვილი, ა. ჭავჭავაძე, ი. გარსევანიშვილი. მათ თარგმნეს XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლის – ვოლტერის რაციონალისტური ფილოსოფიით გაჯერებული მხატვრული ნაწარმოებები. ასევე აღსანიშნავია ქართული „შექსპირიანა“ – ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. მის ბურჯებად ითვლებიან ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.

ამჟამად ქართული მთარგმნელობითი სკოლა მიემართება ევროპეიზაციის გზით, რომლის სათავეშიც XVIII-XIX საუკუნეების არაერთი მოღვაწე დგას. ისინი ევროპულ ლიტერატურას, იმვითავე გამოწვევის გარდა, რუსული ენის გზით გვაწვდიდნენ, თუმცა დღეს, საბედნიეროდ, უკვე დამკვიდრდა ორიგინალიდან თარგმანი.

* * *

გასული საუკუნე ჩაკეტილ სივრცეში ვიცხოვრეთ. ქართველი საზოგადოება არც არაფერს გასცემდა და არც იღებდა. საბჭოთა პერიოდში ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

დღეს, რასაკვირველია, ვითარება შეიცვალა. 90-იანი წლები ყველაზე მძიმე, კრიტიკული პერიოდი იყო: გამომცემლობები ბინებში მუშაობდა ენთუზიასტების წყალობით. ხარისხს რაც შეეხება, როგორც ყველა ეპოქაში – ის სხვადასხვაგვარია, მაგრამ თავად ფაქტი, რომ პროცესები დაიწყო და გრძელდება, უკვე მნიშვნელოვანია.

ვითარება საგრძნობლად შეიცვალა: განვითარდა ქართულ-ენოვანი წიგნის ბაზარი, შეიქმნა გამომცემლობები და ა. შ., რაც თავისთავად ზადებს მთარგმნელობითი საქმიანობისადმი დიდ ინტერესს. 90-იანი წლების სრული უძრაობის შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი სიკეთეა, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობასა და საკუთარი საზაროვნო პროცესის მიმართ პასუხისმგებლობას მოაქვს.

მთარგმნელის საქმიანობა მეტწილად გამომცემლობებზეა დამოკიდებული. სათარგმნ ლიტერატურას ძირითადად ისინი განსაზღვრავენ. კარგია, როდესაც გამომცემლის არჩევანი და მთარგმნელის სურვილი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა ეს ალბათ ყოველთვის ვერ ხერხდება.

მთარგმნელთა მოსაზრებით, თანამედროვე საგამომცემლო ბაზარზე ძირითადად მოთხოვნა ისეთ ჟანრებზეა (ფენტეზი, დეტექტივი, ბულვარული რომანები, ბესტსელერები), რომლებიც მთელ მსოფლიოში – და მათ შორის საქართველოშიც – დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა მაღალმხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა; ქართულ ნათარგმნ ლიტერატურას აკლია უამრავი წიგნი, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურული ქვეყნის ენაზეა თარგმნილი. საგამომცემლო ბაზარი შეიძლება (ამ ნაწარმოებების კომერციული ღირებულებიდან გამომდინარე) არასოდეს დაინტერესდეს მათი თარგმანით. ვფიქრობთ, აუცილებელია, არსებობდეს თარგმანის სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ უნდა გამოყოს კვალიფიციური კადრები და მატერიალური სახსრები, რათა მთარგმნელობითი საქმიანობის ეს ხარვეზი შეივსოს.

სახელმწიფო ცდილობს, ხელი შეუწყოს თარგმანის განვითარებას. 2010 წლიდან საქართველოს კულტურის სამინისტროში ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამა ამოქმედდა, რომელიც უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულად და ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნის ხელშეწყობას

ისახავს მიზნად. მთარგმნელობით კონკურსში გამარჯვებულს კულტურის სამინისტრო სუბსიდირების ახლებური წესით დაეხმარება – ბიბლიოთეკებისთვის სამასიდან ხუთას ეგზემპლარამდე შეიძენს.

წიგნის ეროვნული ცენტრის ცნობით, წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 300-ამდე ქართული თარგმანი წარადგინეს, რომელთა დიდი ნაწილი თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებები იყო. წიგნის ეროვნული ცენტრის სპეციალური საბჭო ყველა განცხადებას განიხილავდა და სათარგმნ წიგნებს არჩევდა. ჟანრობრივი თვალსაზრისით ბალანსი დაცული იყო.

ბოლო წლებში ლიტერატურულ კონკურს „საბაზე“ წარდგენილ წიგნთა რაოდენობაც გაიზარდა. კონკურსის ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ ეს თარგმნილი ლიტერატურის ხარჯზე მოხდა. საუკეთესო თარგმანის კატეგორიაში წელს ყველაზე დიდი კონკურსი იყო.

გაიზარდა იმ ენების რიცხვი, საიდანაც თარგმნიან, ავტორთა ჩამონათვალი და ქვეყნები, რომელთა მწერლებსაც ქართულ ენაზე გვთავაზობენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მთარგმნელთა ყველა თაობაა ჩართული. მაგალითად ორჰან ფამუქის შემოქმედება გამოდგება, რომელსაც რამდენიმე შესანიშნავი ქართველი მთარგმნელი ჰყავს. მათ შორის უხუცესი ლია ჩლაიძეა, ყველაზე ახალგაზრდა – თამარ ალფენიძე.

შეგნიშნავთ, რომ დღეს საქართველოში თანამედროვე თურქული კულტურის ბუმია, რაც ქართულ არხებზე თურქული სერიალების მომრავლებითა და თურქი მწერლის – ორჰან ფამუქის ლიტერატურის უსაზღვრო პოპულარობით გამოიხატება. რით შეიძლება იყოს გამოწვეული ის, რომ ქართველი მკითხველი ასე დაინტერესდა თურქული ლიტერატურით? ზოგის აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ დიდი მსგავსებაა ქართულ და თურქულ კულტურებს შორის, ეს კი ერთ-ერთი მთავარი განმავლობებელი ფაქტორია. უნდა გავითვალისწინოთ ასევე თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რამაც გარკვეული კვალი დატოვა ქართულ კულტურასა და, ზოგადად, ქართველი ხალხის ქვეცნობიერში.

ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც თურქულიდან ქართულად ითარგმნა და ქართველი მკითხველის დაინტერესება გამოიწვია იყო „მე მქვია წითელი“. წიგნმა ძალიან დიდი წარმატება მოუტანა ავტორს არამარტო თავის ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარე-

თაც. „მე მქვია წითელი“ მწერლისთვის ნობელის პრემიისკენ მიმავალ გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. საქართველოში წიგნი 2010 წელს ითარგმნა და გამოიცა. „მდუმარე სახლი“, „ორმაგი სახე“, „სტამბოლი: მოგონებები და ქალაქი“, „ჯევედეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, „თეთრი ციხესიმაგრე“, „ფარული სახე“, „თოვლი“, „უმანკობის მუზეუმი“, „სხვა ფერები“, „ახალი ცხოვრება“ „შავი წიგნი“, „წითური ქალი“, „გულუბრყვილო და სენტიმენტალური რომანისტი“, „ნივთების უმანკობა“, „ჩემი უცნაური ფიქრები“, და რა თქმა უნდა „მე წითელი მქვია“ – მწერლის ის წიგნებია, რომლებიც ნათარგმნია ქართულ ენაზე.

როგორც ვხედავთ, თარგმნილი ძეგლების გათვალისწინებით, ქართველების კულტურული ურთიერთობის არედ, უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლური სამყარო წარმოგვიდგება, რასაც ამავედროულად ემატება რუსეთი და დასავლეთი ევროპა. უკანასკნელ წლებში საქართველოს კულტურული ურთიერთობის არე მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა.

ლიტერატურა

გაჩეჩილაძე 1956 – გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები: რეალისტური თარგმნის პრობლემები, თბილისი.

კეკელიძე 1923 – ვ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. 1. ძველი მწერლობა, თბილისი.

მერაბიშვილი 2005 – ი. მერაბიშვილი, პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბილისი.

ფანჯიკიძე 2005 – დ. ფანჯიკიძე, ქართული თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი.

ხარბედია 2014 – მ. ხარბედია, თარგმანის შესახებ თანამედროვე საქართველოში, ჟურნალი „არილი“, თბილისი.

Rita Jaiani

On the Tendencies of Literary Translation in Modern Georgia

Summary

Translation is considered as one of the ancient professions. The reason is that there has always been a need for communication between people conditioned by social, economic, religious or intercultural interests.

The historical roots of the Georgian literary translation take us to the distant past. Georgians translated literary works because they found answers to the difficult and vital questions they had. They put the national spirit and consciousness into the translation but kept the essential side of original works as well. Sometimes translation was so changed that one would think it was an original work. Georgian translators often used the method of adequate translation but in most cases, they developed the tendency of altering and “Georgianizing” original works, especially the literature of the Persian world such as “Visramiani”, “Baramguriani”, “Kilila and Damana” where Georgian translators changed customs and traditions, beliefs and other details that were not acceptable for the Georgian society.

In the late 18th and the early 19th centuries Georgian translators became interested in European literature (“Voltairiana”, “Shakespeariana” etc. in Georgia) that was an important stage of the formation of Georgian literature.

Currently the Georgian translation school goes along the road to Europeanization. A number of public figures of XVIII-XIX centuries who provided us with European literature through the Russian language (with rare exceptions) stood at the beginning of this road. Today literature is translated from the original.

The situation has changed dramatically over past 10 years. The Georgian book market, publishing houses, etc. have been developed that raises the need for translation activities. This is a big progress after the

standstill of the 90s. It can be said that this is one of the advantages that appear as a result of the country's independence and its responsibilities.

We should also mention the modern trend in Georgia that is the boom of the contemporary Turkish culture which is reflected in the increasing number of Turkish TV series on Georgian TV channels and the huge popularity of the works by Turkish writer Orhan Pamuk. What can be the reason that made Georgian readers interested in Turkish literature?

Thus, based on the translated literary monuments the area of the cultural relations of Georgians was the Eastern world while in the new centuries it was Russia and Europe. Over the last few years the area of Georgia's cultural relations has significantly expanded and covered a number of countries around the world.

The tradition of the Georgian translation has a centuries-old history. It played a major role in the development of not only the literary translation but also Georgian literature in general.